



საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N15 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ

(2015-2016)



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი	3
2. წამება და არასათანადო მოპყრობა	8
3. უსაფრთხოება	14
4. პატიმრობის პირობები	20
4.1. ფიზიკური გარემო და სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა	20
4.2. კვება და სასმელი წყალი	23
4.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	25
4.4. დასაქმება	28
5. სამედიცინო მომსახურება	31
6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება.....	44
7. კონტაქტი გარე სამყაროსთან	49

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 10-11 დეკემბერს N15 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.¹ ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

ანგარიშის მომზადების პროცესში, პირველადი მგინებების გადამოწმების მიზნით, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია N15 დაწესებულების დირექტორისაგან, მთავარი ექიმისაგან, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან, რათა ანგარიშში ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები არ დაყრდნობოდა მხოლოდ ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციას. ამგვარად, წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ასახავს N15 დაწესებულებაში არსებულ ვითარებას 2015 წლისა და 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს პერიოდის მდგომარეობით.

ამას გარდა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 წლის 19 აპრილს N15 დაწესებულებაში განხორციელდა დაუგეგმავი ვიზიტი, რომლის დროსაც შემოწმდა დაწესებულების სასადილო და სამზარეულო.

N15 პენიტენციური დაწესებულება არის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი შეადგეს 2200 მსჯავრდებულს. 2015 წლის 10-11 დეკემბრის ვიზიტის დროისათვის დაწესებულებაში

¹ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, თამარ ავალიანი, კახაბერ გოგაშვილი, ნათია წერეთელი. სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი: მარიეტა ახვლედიანი; გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი: მერი მაღლაფერიძე.

იმყოფებოდა 1755, ხოლო წინამდებარე ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდისათვის დაწესებულებაში 1752 მსჯავრდებული იმყოფებოდა.²

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ, პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციის გაზიარებასა და პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.³ სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული წესი ეფექტურად იქნება იმპლიმენტირებული პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს დაზიანებების სრულყოფილ დოკუმენტირებასა და არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების გამოვლენას.

სახალხო დამცველი დადებითან აღნიშნავს, N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ თვითდაზიანების მიყენების მაჩვენებლის შემცირებას და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თვითდაზიანების რისკის მქონე პატიმრებისათვის სპეციალური ინდივიდუალური მიდგომის შემუშავების მნიშვნელობას.

მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს დაწესებულების თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ შეტყობინება არ მიუღიათ. ჯგუფმა დააფიქსირა სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანების 1 შემთხვევა, რომელიც შემდგომი შესწავლის საგანი გახდა. მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ მსჯავრდებულ ი.წ.-ს სხვა მსჯავრდებულმა ლ.მ.-მ ხელჯობის ჩარტყმის შედეგად მიაყენა სხეულის დაზიანებები. საქმეზე ეფექტიანად წარიმართა გამოძიება და ლ.მ. მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქად დაზიანებისათვის. სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულების, განსაკუთრებით კი ისეთი დანაშაულების, რომელიც არასათანადო მოპყრობასთან ასოცირდება, დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების პრაქტიკას და იმედს გამოთქვამს რომ სამომავლოდ როგორც N15 ასევე სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც მსგავსად მოხდება ყველა ასეთი ფაქტის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

სახალხო დამცველი დანაშებით აღნიშნავს, რომ N15 დაწესებულებაში, სხვა პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, არასრულად და გაუგებრად ხდება დაზიანებების აღრიცხვის

² აღნიშნული ციფრი მოცემულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მონაცემები ბოლოს განახლებულია 2016 წლის ოქტომბერს. იხ. ბმული <http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/12/07/ad2fe255ab73c4962b4895ca1c46eed5.pdf>

³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N131 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, 27 ოქტომბერი 2016 წელი.

ჟურნალის შევსება, ასევე სამედიცინო პერსონალის მიერ არ ხდება ტრამვების მიღების მიზეზის საფუძვლიანი გამოკვლევა, რაც ბადებს ეჭვს, რომ დაზიანების ხასიათისა და ლოკალიზაციის გათვალისწინებით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ტრამვის წარმოშობის მიზეზის მსჯავრდებულისეული ვერსიის შეუსაბამობას რეალობასთან. ასეთ დროს სამედიცინო პერსონალის ჩართულობა გადამწყვეტია და ამ მხრივ სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლოა წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის ძალაში შესვლის შემდეგ მოხდება მისი სათანადო იმპლიმენტაცია პრაქტიკაში.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა. დირექტორის ბრძანებას თანდართული დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები კი, არ შეიცავს მონაცემებს, თუ რა მეთოდით, ვის მიერ და რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ამა თუ იმ პატიმრისაგან მომდინარე რისკისა თუ საშიშროების შეფასება. მათ შორის, უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებიდან არ ჩანს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საკნების ფართობი და მათი ტევადობა არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს. საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებს, არის ცენტრალური გათბობა, თუმცა ის სრულად ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო გათბობას. იატაკი არის ქვის, ხოლო კედლები ფითხითაა შეღებილი. დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დერეფნებსა და კიბეებზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით შემამფოთებელია სამართლო საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სადაც სანიტარული კვანძი არაა გამოყოფილი ოთახის დანარჩენი ნაწილისაგან და მას არ აქვს წყლის ჩამშვები. სამართლო საკანში მოთავსებული პატიმარი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას ხვდება ვიდეო მეთვალყურეობის არეალში.

დაწესებულებაში არ ჩატარებულა არც-ერთი ხელობის შემსწავლელი კურსი, ხოლო პროფესიული განათლების მიღების საშუალება საანგარიშო პერიოდში პატიმრებს მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ. სარეაბილიტაციო აქტივობები არაა დამაკმაყოფილებელია და მასში მონაწილეობს მსჯავრდებულთა ძალიან მცირე ნაწილი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში სამედიცინო ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პირველადი

ჯანდაცვის პუნქტის აღჭურვილობა არის ელემენტარული, თუმცა შეესაბამება პირველადი ჯანდაცვის ძირითად საჭიროებებს.

ვიზიტის განხორციელებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის ყურადღება მიიპყრო სამედიცინო ნაწილში სხვა მსჯავრდებულების თავისუფალი გადაადგილების შემთხვევამ. საცხოვრებელი კორპუსიდან სამედიცინო საჭიროებების არმქონე მსჯავრდებულების სამედიცინო პუნქტში თავისუფალი მოძრაობა გარკვეულ რისკს წარმოადგენს ინფექციის კონტროლის თვალსაზრისით, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს საცხოვრებელი კორპუსიდან სამედიცინო საჭიროებების არმქონე მსჯავრდებულების სამედიცინო პუნქტში თავისუფალი მოძრაობა და პაციენტებთან ურთიერთობა.

ვიზიტის დროს სტომატოლოგიურ კაბინეტში აღმოჩენილ იქნა ორი მუშა მდგომარეობაში მყოფი და ერთ გაფუჭებული სტერილიზაციის აპარატი. სტომატოლოგის მიერ ყოველ სამუშაო დღის დასაწყისში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიუხედავად, მონიტორინგის დროისათვის ჟურნალში დეზინფექციის შესახებ ჩანაწერი არ იქნა ნაპოვნი.

დაწესებულებაში არ მიმდინარეობს მსჯავრდებულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შიდა წარმოების კონსულტაციების აღრიცხვის ფორმის შესწავლისას გაირკვა, რომ N15 დაწესებულებაში პრობლემურია კონსულტანტების ხელმისაწვდომობის პრობლემა. კონკრეტულად კი, ზოგიერთ სამედიცინო სერვისზე პატიმართა მიერ კონსულტაციის მოთხოვნა ბევრად აღემატება კონსულტანტების ვიზიტებისა და მათ მიერ შემოწმებულ პირთა რაოდენობას.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო რეფერალის შესწავლის დროს დაადგინა, რომ ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურება. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მთავარი ექიმი უმეტეს შემთხვევებში დროულად აგზავნის სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნას, თუმცა სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურებას, რიგ შემთხვევებში, სჭირდება 1 თვიდან 6 თვემდე.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით არ დაფიქსირებულა სატელეფონო საუბრისა და მაღაზიით სარგებლობით უფლების შეზღუდვა. მისასალმებელია ხანმოკლე პაემანის აკრძალვის მაჩვენებლის 2016 წელს შემცირების ტენდენცია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმართა ხშირ წახალისებას შეუძლია ხელი შეუწყოს პატიმართა ქცევის კორექციას, შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის

სუბკულტურის გავლენა და ამგვარად დადებითი გავლენა იქონიოს რესოციალიზაციის პროცესზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ N15 დაწესებულებაში გაძლიერდეს პატიმართა წახალისების პოლიტიკა.

2. წამება და არასათანადო მოპყრობა

წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის მიხედვით წამების აკრძალვა იმპერატიული ნორმაა, რომლისგანაც გადახვევა დაუშვებელია ნებისმიერ ვითარებაში.⁴ წამების პრევენციის ვალდებულება განსაკუთრებულად საყურადღებოა დახურული ტიპის დაწესებულებებში, სადაც თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმართ წამების და არასათანადო მოპყრობის განხორციელების რისკი უფრო მაღალია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.⁵ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.⁶

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფს არასათანადო მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულებისაგან შეტყობინება არ მიუღია.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია მსჯავრდებულთა სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ. მე-15 დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2015 წლის განმავლობაში მე-15 დაწესებულებაში მოთავსებულ ან სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანისას არც-ერთ მსჯავრდებულს სხეულის დაზიანება არ აღენიშნებოდა. ხოლო დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების მონაცემების მიხედვით წლის განმავლობაში დაფიქსირდა თვითდაზიანების 38, საყოფაცხოვრებო ტრავმის 213 და სხვა პირის მიერ დაზიანების 1 შემთხვევა.⁷

დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით კი, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს მონაცემებით მე-15 დაწესებულებაში მოთავსებულ ან სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანილ არც-ერთ პატიმარს არ აღენიშნებოდა სხეულის დაზიანება. ხოლო დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების სტატისტიკის მიხედვით მოცემულ პერიოდში

⁴ CAT, art. 2.2.

⁵ ob. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI

⁶ ob. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II

⁷ მთავარი ექიმის წერილი 08.01.2016

დაფიქსირდა თვითდაზიანების 4, ხოლო საყოფაცხოვრებო ტრამვის 116 შემთხვევა. სხვა პირის მიერ მიყენებულ დაზიანებას კი ადგილი არ ჰქონია.⁸

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა 2015 წელს მომხდარი სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენების ერთი შემთხვევა და დაადგინა, რომ მსჯავრდებულ ი.წ.-ს სხვა მსჯავრდებულმა მიაყენა სხეულის დაზიანება. აღნიშნულ ფაქტზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება და მსჯავრდებული ლ.მ. მიეცა პასუხისგებაში ი.წ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით, კერძოდ გამოძიებამ დაადგინა რომ ლ.მ.-მ ი.წ.-ს დაარტყა ხელჯოხი, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის სხეულის დაზიანება. საქმე წარიმართა სასამართლოში არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ლ.მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და დასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.⁹

სახალხო დამცველი მიესალმება მე-15 დაწესებულებაში სხვა პირის მიერ მიყენებული დაზიანების ფაქტის სწრაფ და ეფექტიან გამოძიებას და მიიჩნევს, რომ სამომავლოდ, როდესაც ადგილი აქვს სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენებას, რაც შესაძლოა არასათანადო მოპყრობის ნიშნებსაც შეიცავდეს, პირველ რიგში აუცილებელია მოხდეს ამ დაზიანების სრულყოფილი დოკუმენტირება და ამასთანავე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

აღსანიშნავია, რომ N15 სამედიცინო პერსონალის მიერ დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების დოკუმენტირება არასრულად მიმდინარეობს. კერძოდ, კვლავ პრობლემურია დაზიანების წარმოშობის მიზეზის მითითება და დაზიანების ხასიათისა და ლოკალიზაციის დაზიანების წარმოშობის მითითებულ მიზეზთან შესაბამისობის განსაზღვრა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;

⁸ მთავარი ექიმის წერილი 22.09.2016

⁹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წერილი 09.09.2016

- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიაწოდებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ფორმები, რაც საშუალებას მოგვცემს, დაზიანების შესახებ ინფორმაცია ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.¹⁰

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.¹¹

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.¹²

N15 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის წლიურ ანგარიშში.¹³

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც

¹⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74

¹¹ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105

¹² იქვე პარ. 122

¹³ იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 29-35, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია 20.09. 2016]

უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.¹⁴ ამასთანავე, სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების აღრიცხვა პრაქტიკაში განხორციელდება ყველა იმ სტანდარტის შესაბამისად, რაც დადგენილია „სტამბოლის პროტოკოლით“, შესაბამისად მოცემული ბრძანების პრაქტიკაში იმპლიმენტაცია სამომავლოდ სპეციალური პრევენციული ჯგუფის შესწავლის საგანი გახდება.

რაც შეეხება თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილ მსჯავრდებულებს, დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათთვის რაიმე სპეციფიკური რეესტრი არ იწარმოება,¹⁵ მათი იდენტიფიცირება ხდება არსებული სამედიცინო ბარათის ჩანაწერებიდან და ასევე ციხის რეჟიმისა და უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია გადაეცემა სუიციდის პრევენციის პროგრამის კოორდინატორს. თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილ მსჯავრდებულის გამოვლენისას სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს მის კონსულტირებას ფსიქიატრის და დაწესებულების ფსიქოლოგის მიერ და ინფორმაციას აწვდის სუიციდის პრევენციის პროგრამის კოორდინატორს.¹⁶

როგორც ზემოთ მოცემულ სტატისტიკიდან იკვეთება 2015 წლის მონაცემებით N15 დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა თვითდაზიანების 38 შემთხვევას, ხოლო 2016 წლის 8 თვის მონაცემებით (იანვარი-აგვისტო) მხოლოდ 4 თვითდაზიანების შემთხვევას, რაც საგრძნობლად შემცირებული მაჩვენებელია. სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს 2015 წელთან შედარებით თვითდაზიანების შემთხვევების რაოდენობის შემცირების ტენდენციას. ასევე, დადებითად აფასებს თვითდაზიანების მიდრეკილების მსჯავრდებულების დახმარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის მხრიდან დაზიანების მიღების მიზეზად თვითდაზიანების დასახელების შემთხვევაში, ექიმის მიერ სრულყოფილად შემოწმდეს თვითდაზიანების შემთხვევა და შეფასდეს, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული შემთხვევა თვითდაზიანებას, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს არასათანადო მოპყრობის ფაქტები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თვითდაზიანებებისკენ მიდრეკილი პატიმრების იდენტიფიკაცია და თვითდაზიანებების პრევენციისათვის შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამედიცინო პერსონალმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უნდა ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი

¹⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანება

¹⁵ დაწესებულების მთავარი ექიმის პასუხი, 22.09.2016

¹⁶ დაწესებულების დირექტორის წერილი, 22.09.2016

თვითდაზიანებების რისკის მართვაში და აუცილებელია მათი როლის გაძლიერება ამ მიმართულებით.¹⁷

საგულისხმოა ტრავმების ჟურნალის შემოწმების შედეგად დაფიქსირებული გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საექვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი დაზიანების წარმომავლობად უთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, თუმცა დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ. ასე მაგალითად:

მსჯავრდებულ კ.ს.-ს შუბლ-თხემის მიდამოში აღენიშნება მრავლობითი ნაკაწრი ჭრილობები, შებერილობები. მარჯვენა ხელის კიდურის მტევნის მიდამოში შებერილობა, სიწითლე, მტკინვეულობა) - დაზიანება მიიღო სასწავლო ცენტრში გულყრის შედეგად. ინფორმაცია დაზიანების შესახებ გადაგზავნილია საქ. სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში).

მსჯავრდებულ ა.ბ.-ს ორივე ლოყის არეში აღენიშნებოდა სიწითლე და კანის მთლიანობის დარღვევა, თუმცა კანის მთლიანობის დარღვევა ჟურნალში არ ფიქსირდება, არამედ ექიმის ცნობაშია მითითებული - დაზიანება მიიღო მაღამოს წასმით. საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება გაგზავნილია.

მსჯავრდებულ ა.ი.-ს მარცხენა მხრის მიდამოში აღენიშნებოდა ნაკაწრი წრილობები. მარჯვენა და მარცხენა წინამხარზე ნაკვეთი ჭრილობა. შუბლის არეში ნაკვეთი ჭრილობა. ყურის ნაჟღენთი ჭრილობა, ღაწვის და ნიკაპის მიდამოში ნაკვეთი ჭრილობა, ამ დაზიანებების წარმომავლობად მითითებულია წაქცევა. საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება გაგზავნილია.

მსჯავრდებულმა გ.დ.-მ ერთ დღეს მიიღო 2 დაზიანება. ექიმის ცნობაში მითითებულია მარცხენა იღლის ქვედა მიდამოში ნაკაწრი, მარჯვენა თვალის ქუთუთოზე ნაკაწრი, რაც მიიღო აბაზანაში მზაპისას. ხოლო ჟურნალში მითითებულია რომ მსჯავრდებულს საფეთქლის მიდამოებში აქვს სიწითლე და მარცხენა ზედა ქუთუთოზე წვრილი სისხლჩაქცევები, რაც მიიღო საწოლიდან ჩამოსვლის დროს თავის მირტყმის შედეგად. საგამოძიებო დეპარტამენტში შეტყობინება გაგზავნილია. ეჭვს იწვევს ის გარემოებები, რომ მსჯავრდებული დაზიანების სხვადასხვა წარმომავლობას ასახელებს და რომ დაზიანების ჟურნალში სრულად არ არის აღწერილი მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანებები.

¹⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში იტალიაში ვიზიტის შესახებ, 14-18 ივნისი 2010 წელი. პარა 17. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-30-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 28.04.2016]

მსჯავრდებულ პ.ნ.-ს შუბლის არეში მარცხნივ აღნიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობა 2-4 სმ სიგრძის, ლურჯი ფერის და ჰქონდა სისხლდენა, ხოლო თუ რა ვითარებაში მიიღო დაზიანება არ განმარტავდა.

მსჯავრდებულ მ.რ.-ს უფიქსირდებოდა მარცხენა ზემო კიდურზე მოწითალო მრავლობითი ექსკორაციები, მარცხენა წვივის მიდამოში მოყვითალო მრავლობითი ექსკორაციები, ტერფის მიდამოში ექსკორაცია. იგი გადაყვანილი იქნა მე-18 დაწესებულებაში. დაზიანებების შესახებ განმარტებას არ იძლევა.

მსჯავრდებული ი.შ. წვივის მოტეხილობით სასწრაფო წესით გადაყვანილია მე-18 დაწესებულებაში, თუმცა დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში იგი რეგისტრირებული არ არის და არ იკვეთება რა გახდა დაზიანების მიზეზი.

მსჯავრდებულ მ.რ.-ს მარჯვენა თვალის შიდა ზედაპირზე და ქვედა ქუთუთოზე აღნიშნება სიწითლე, სილურჯე და შეშუპება. ქვედა ქუთუთოზე მცირე სისხლნაჟღენთი. აღნიშნავს, რომ დაზიანება მიიღო თვალის მოსრესის შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში სალმანი თურქეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება ძლიერი ეჭვები პატიმრობის პერიოდში წარმოქმნილ დაზიანებებთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება.¹⁸

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად პატიმარი უთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, ექიმის მიერ პირველ რიგში შეფასდეს შეიძლება თუ არა პატიმარს მიეღო აღნიშნული დაზიანებები იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც პატიმარი შემოწმების დროს უთითებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიჩნევს, რომ დაზიანებების ჟურნალის წარმოება არ ხდება სრულყოფილად. ხშირად ჟურნალის შევსება ფორმალურ ხასიათს ატარებს, გაურკვეველი ხელითაა ნაწერი წაკითხვა ვერ ხერხდება. არის შემთხვევები, როცა ექიმის ხელმოწერა არ არის დაფიქსირებული, მითითებულია პატიმრის გვარი და სახელი, შემდგომ კი შესაბამის გრაფებში ჩანაწერები არ არის გაკეთებული.

ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში დაზიანების წარმომავლობის მითითებისას ზედაპირულად არის ნახსენები, თუ როგორ მიიღო პირმა დაზიანება, მაშინ როდესაც აღნიშნულ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დეტალურად იქნეს აღწერილი ის გარემოება და ვითარება რა დროსაც პატიმრის მიერ მიღებულ იქნა ტრავმა. კერძოდ, პირის მიერ ტრავმის მიღებად „წაქცევის ან გადმოვარდნის ფაქტის“ დაფიქსირების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაირკვეს რა იყო წაქცევის ან გადმოვარდნის მიზეზი, იყო თუ არა წაქცევა ან გადმოვარდნა დაკავშირებული

¹⁸ იხ. *Salman v. Turkey*, Application no. 21986/93, § 113 ECHR 2000 VII

პირის ჯამრთელობის მდგომარეობასთან, აგრეთვე, არის თუ არა წაქცევის ან გადმოვარდნის გამოძწვევი მიზეზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა. ექიმის მიერ დაზიანებების სრულყოფილად არ აღწერის შემთხვევაში შეუძლებელია დადგინდეს ჰქონდა თუ არა პირის მიმართ ადგილი ძალადობას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, დაწესებულებაში თვითდაზიანებების პრევენციისათვის შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბებისათვის
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა ტრამვათა დაფიქსირების ყველა შემთხვევაში ექიმის მიერ მოხდეს პატიმრის სრულყოფილი შემოწმება და იმის დადგენა, წარმოშობს თუ არა ძალადობის ვარაუდს დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა ტრავმების ჟურნალის სრულყოფილად და გასაგებად წარმოებისათვის
- ❖ სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

უსაფრთხოების კუთხით სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, რაც ხშირად პატიმრებს შორის ძალადობისა და ჩაგვრის მიზეზი ხდება. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციის აქვს სიფრთხილის გამოჩენისა და პატიმრის ნებისმიერი ძალადობისგან დაცვის ვალდებულება, მათ შორის ისეთი ძალადობის რისკისაგან, რომელიც სხვა პატიმრისაგან შეიძლება მომდინარეობდეს.

სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობა. იმისათვის, რომ ასეთი პოზიტიური ურთიერთობა არსებობდეს, მნიშვნელოვანია პატიმრებს გააზრებული ჰქონდეთ, რომ დაწესებულებაში არსებული წესები და პროცედურები უსაფრთხოა და ადამიანური გარემოს შესაქმნელად არის დაწესებული.

პატიმრები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მოეპყრობიან სამართლიანად და დაიცავენ მათ უფლებებს.

მზრუნველობის გამოჩენის ვალეზულება, რომელიც აკისრიათ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებს, გულისხმობს პატიმრების დაცვას იმ პატიმრებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენონ სხვა პატიმრებს. პატიმრებს შორის ძალადობის აღკვეთა, ციხის თანამშრომლებისაგან მოითხოვს სათანადოდ მომზადებას. მათ შორის, გადამზადებულ და სწორად შერჩეულ თანამშრომლებს, რათა ადეკვატურად განახორციელონ მათი სამეთაფურეო ამოცანები. პოზიტიური ურთიერთობების არსებობა თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის, რომელიც ეფუძნება უსაფრთხო პატიმრობის, მეურვეობისა და მზრუნველობის ცნებებს, არის გადამწყვეტი ფაქტორი ასეთ კონტექსტში. აღნიშნული დიდწილად დამოკიდებული იქნება თანამშრომლების მხრიდან შესაბამისი კომუნიკაციის უნარების არსებობაში. ამასთანავე, ციხის ხელმძღვანელობა მზად უნდა იყოს სრული მხარდაჭერა აღმოუჩინოს თანამშრომლებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს პატიმრების შესაბამისი კლასიფიკაცია და გადანაწილება.¹⁹

N15 დაწესებულების დებულების მიხედვით დაწესებულების ერთ ერთი მთავარი ფუნქცია და ამოცანა სწორედ სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.²⁰ მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით.²¹

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა N15 დაწესებულებაში ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისა და მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების - როგორც უსაფრთხოების ზომების - პრაქტიკა.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის,

¹⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-11 ზოგადი ანგარიში, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm> 2011 წელი, [ბოლოს ნანახია 20.10.2016]

²⁰ დაწესებულების დებულება, მუხ. 3(1)-ბ

²¹ იქვე, მუხ.22(1)

თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი”.

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ზემოთნახსენები მეთვალყურეობისა და კონტროლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალების გამოყენება არაეფექტურია. პატიმრობის კოდექსი ხაზს უსვამს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას და კრძალავს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელებას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ყველა საქმეში რისკი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა. პრობლემას აგრეთვე წარმოადგენს დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები, რომელიც არ შეიცავს მონაცემებს თუ რა მეთოდით, ვის მიერ და რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ამა თუ იმ პატიმრისაგან მომდინარე რისკის შეფასება. მათ შორის, უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებიდან არ ჩანს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა.

მე-15 დაწესებულებაში ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისათვის განკუთვნილია ხუთი საკანი (N5; N13; N14; N15; N16).²² გარდა ამ საკნებისა, ვიზუალური

²² დაწესებულების დირექტორის წერილი, 22.09.2016

კონტროლი ხორციელდება დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, ასევე სარეჟიმო და გონივრული მიღებისა და განთავსების ფლიგელის დერეფნებში.

2015 წელს უსაფრთხოების მიზნით ვიზუალური და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობა სულ 88 შემთხვევაში განხორციელდა, აქედან მსჯავრდებულთა პირადი განცხადების საფუძველზე, მხოლოდ 7 შემთხვევაში დაწესდა მეთვალყურეობა, ხოლო დარჩენილ 81 შემთხვევაში კი ადმინისტრაციის ინიციატივით.

რაც შეეხება 2016 წლის მონაცემებს, დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 1 იანვარი - 31 აგვისტოს ჩათვლით მსჯავრდებულისათვის ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების 30 ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან 13 შემთხვევაში პირმა განცხადებით თავად მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას მისთვის მეთვალყურეობის დაწესების შესახებ.²³

როგორც შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ როდესაც ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესება ხდება ადმინისტრაციის ინიციატივით, უმეტეს შემთხვევაში მსჯავრდებული, ვის მიმართაც ხორციელდება უსაფრთხოების აღნიშნული ზომა, ან სულიერი აღელვების მდგომარეობაშია ან დაპირისპირებულია სხვა მსჯავრდებულებთან.

2016 წლის მონაცემებში საინტერესო იყო მსჯავრდებულ ვ.ი.-ს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსების ფაქტი. როგორც დაწესებულების დირექტორის ბრძანებიდან ირკვევა, თავდაპირველად ვ.ი.-ზე განხორციელდა ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის პატაკის საფუძველზე. აღნიშნული პატაკის ავტორი მიუთითებდა რომ მსჯავრდებულთა ფართო მასასთან დაპირისპირების გამო მიზანშეწონილია ვ.ი.-ს იზოლირებულად მოთავსება მუდმივი ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის ქვეშ, შესაბამისად მასზე განხორციელდა მეთვალყურეობა 5 დღის ვადით. თუმცა ორი დღის შემდეგ, 27 მაისს, დაწესებულების დირექტორს უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორმა კვლავ მიმართა ახალი პატაკით, სადაც ის მიუთითებს, რომ მსჯავრდებული ვ.ი. თავს გრძნობს მშვიდად, რაც დასტურდება დაწესებულების მორიგე ექიმის ოფიციალური ცნობით და მას სურს მოეხსნას ვიზუალური მეთვალყურეობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, პატაკის ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია და შეუამდგომლობით მიმართავს დაწესებულების დირექტორს, რომ ვ.ი. იმყოფებოდეს მსჯავრდებულთაგან იზოლირებულად, მაგრამ ისეთ საკანში, სადაც მასზე არ განხორციელდება ელექტრონული მეთვალყურეობა. ხოლო დაწესებულების დირექტორმა კი ამ პატაკის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ვ.ი.-სათვის კვლავ გაეგრძელებინათ ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა, რომელიც

²³ დაწესებულების დირექტორის წერილი, 22.09.2016, დანართი 1

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საკმაოდ ხანგრძლივად, 57 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.²⁴

აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს, რომ დაწესებულების დირექტორის მიერ მხედველობაში არ იქნა მიღებული მსჯავრდებულის ინდივიდუალური რისკი, ასევე დასაბუთება, რაც უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელმა წარმოადგინა თავის პატაკში და რეალურად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოხდა ვ.ი.-ს მიმართ ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის გაგრძელება. მონიტორინგის შედეგებიც ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

რიგ შემთხვევებში ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა დაუწესდა მსჯავრდებულებს, რომლებიც მოთავსებული იყვნენ სამართლო საკანში და მათი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე ჩაითვალა, რომ მათში თვითდაზიანების მაღალი რისკი იყო. ასევე ერთ შემთხვევაში ვიზუალური მეთვალყურეობა დაუწესდა მსჯავრდებულს, რომელმაც გამოაცხადა შიმშილობა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.²⁵

რაც შეეხება მსჯავრდებულთა სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებას, 2015 წელს მე-15 პენიტენციურ დაწესებულებაში დაფიქსირდა სულ ასეთი 67 შემთხვევა, საიდანაც 44 შემთხვევაში განცალკევება მოხდა პატიმრის პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო 23 შემთხვევაში კი ადმინისტრაციის ინიციატივით. ყველა შემთხვევაში აღნიშნული უსაფრთხოების ღონისძიება გრძელდებოდა 30 დღის განმავლობაში, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებული განცალკევებით მხოლოდ 3 დღის განმავლობაში იყო მოთავსებული. ხოლო 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით მონაკვეთში კი სულ 27 შემთხვევაში მოხდა მსჯავრდებულის განცალკევებით მოთავსება, საიდანაც 22 შემთხვევაში განცალკევება მოხდა თვითონ მსჯავრდებულის პირადი განცხადების საფუძველზე.²⁶ განცალკევების ყველაზე ხანგრძლივი შემთხვევა დაფიქსირდა მსჯავრდებულ

²⁴ იქვე

²⁵წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 28.04.2016]

²⁶ მე-15 დაწესებულების დირექტორის წერილი, 22.09.2016, დანართი 3

ვ.ი.-ს მიმართ - 59 დღე. აღსანიშნავია რომ მის მიმართ ასევე ხორციელდებოდა ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა არასათანადო დასაბუთებით, რაზეც ზემოთ არის საუბარი.

რაც შეეხება სპეციალური საშალებების გამოყენებას, N15 დაწესებულებაში 2015 წლის განმავლობაში სპეციალური საშალებებიდან გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელბორკილი, ისიც ერთხელ, ხოლო 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით მონაცემებით დაწესებულებაში სპეციალური საშალების გამოყენება საერთოდ არ მომხდარა, რაც დადებითად აღსანიშნავია.

ასევე საანგარიშო პერიოდში (2015 წელი და 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი) არ მომხდარა უსაფრთხოების ღონისძიების სახით სამართლო საკანში მოთავსება 24 საათით.

N15 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ე.წ. ანტი-ვანდალური საკნები.

2015 წელს მე-15 დაწესებულებაში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 68 მსჯავრდებულის მიმართ, აქედან უმრავლეს (50) შემთხვევაში, მსჯავრდებულთა მიმართ დევნა იწყებოდა სსსკ-ის 338² მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს პენიტენციურ დაწესებულებაში, გაყვანისას/გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის / მსჯავრდებულის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობას.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.²⁷

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.²⁸ თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი

²⁷ United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf >

²⁸ იქვე, გვ. 13

აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.²⁹

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს N15 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, დინამიური უსაფრთხოების კონცეფციის პრაქტიკაში გატარების მნიშვნელობას, რაც პირდაპირაა დაკავშირებული პატიმართა რეაბილიტაციაზე, შესაბამისად როგორც აქამდე, ასევე მომავალშიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შესწავლისას განსაკუთრებული ფოკუსი სწორედ ციხის მართვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე გაკეთდება.

დაწესებულებას უსაფრთხო ოთახები და დეესკალაციის ოთახები არ აქვს.³⁰

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია. ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმრის განცალკევებით მოთავსება ავტომატურად არ ნიშნავდეს იმავე ვადით მასზე ვიზუალური და ელექტრონული საშუალებით კონტროლის განხორციელებასაც, არამედ უსაფრთხოების ამ ორი ზომის გამოყენების საჭიროება ცალ-ცალკე იყოს განხილული
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმრის მხრიდან მხოლოდ შიმშილობა არ გახდეს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების საფუძველი, ხოლო შიმშილობის პერიოდში ჯამრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა განხორციელდეს ალტერნატიული მეთოდებით
- ❖ მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო და სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2014 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, საქართველოს მთავრობას პეტნიტენციური დაწესებულებების მრავალადგილიან

²⁹ UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/48abd572e.html>

³⁰ იქვე.

საკნებში მოთავსებული თითოეული პატიმრის 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა.³¹ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები.“

თითოეული პატიმრის 4 კვადრატული მეტრის ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აგრეთვე საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის 2014 და 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშებში³².

ნელსონ მანდელას წესების შესაბამისად, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას.³³

პენიტენციური დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში განთავსებულია ერთი საცხოვრებელი კორპუსი, რომელშიც სულ 361 საკანია. საცხოვრებელი საკნების ფართობებია 17მ²-18მ² და ისინი 6 კაცზეა გათვლილი. საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფანჯრები სრულად უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. საკნებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებს, არის ცენტრალური გათბობა, თუმცა ის სრულად ვერ უზრუნველყოფს საკნების სათანადო გათბობას. იატაკი არის ქვის, ხოლო კედლები ფითხითაა შეღებილი. დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დერეფნებსა და კიბეებზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი.

დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში განლაგებულია საკარანტინო და სამართლო საკნები. სულ ფუნქციონირებს 16 სამართლო საკანი. აღნიშნულ საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია. მსჯავრდებულებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უწევთ სანიტარულ კვანძში, რომელიც საკანშია მოწყობილი და არაა იზოლირებული საკნის დანარჩენი ნაწილისაგან, მას არ აქვს წყლის ჩამრეცხი. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას არაა უზრუნველყოფილი პირადი სივრცე, რადგან კვანძი ხვდება ვიდეომეთვალყურეობის არეალში. სამართლო საკანში

³¹ 2014 წლის 1-11 დეკემბერი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2015) 42 18, პარ. 48.

³² სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 68, საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში გვ. 93.

³³ ნელსონ მანდელას წესები, წესი 13

მსჯავრდებულს არ აქვს თეთრეული, ტუალეტის ქაღალდი და საპონი. საკანში დგას რკინის საწოლი თეთრეულის გარეშე, გამწოვი არ მუშაობს.

დაწესებულების ეზოში მდებარე ერთსართულიან ნაგებობაში ფუნქციონირებს სამრეცხაო. ამავე ნაგებობაშია განთავსებული დაწესებულების საერთო სარგებლობის საპირფარეშო. სამრეცხაოში არის ხუთი სარეცხი მანქანა, რომელთაგან ვიზიტის დროისათვის მხოლოდ ორი მუშაობდა. სამრეცხაოში საშრობი მანქანა და საუთოო დანადგარი არ არის. სარეცხი მანქანების დეფიციტის, აგრეთვე, შენობა-ნაგებობაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გამო, მსჯავრდებულთა უმეტესი ნაწილი არ სარგებლობს სამრეცხაოთი და სარეცხს სახლში აგზავნიან გასარეცხად, ან თავად რეცხავენ სარეჯიმო კორპუსში არსებულ სააბაზანო ოთახებში ან/და საკანში და აშრობენ სარეჯიმო კორპუსის უკან მდებარე საერთო სარგებლობის ეზოში, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

N15 პენიტენციური დაწესებულების სასაწყობო მეურნეობა განთავსებულია დაწესებულების გარეთ და წარმოადგენს მე-20 საუკუნის სამოციან წლებში აშენებულ, ამორტიზირებულ ერთსართულიან, დაახლოებით - 500მ² ფართის შენობა-ნაგებობას. საწყობის სახურავი ალაგ-ალაგ ჩამონგრეულია, ჩამოდის ნალექი. ოთახები მოუწყობელია, არ არის საკმარისი თაროები. საწყობში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი.

საწყობში ინახება: ლეიბები, ბალიშები, შალის საბნები, ზეწრები, ბალიშის პირები, პირსახოცები, პატიმართა ჭურჭელი, შშმ პირებისთვის ეტლები, სარეცხის ფხვნილი/საპონი, ჭურჭლის სარეცხი საშუალებები, სათლები, ცოცხები, საღებავები, ნათურები, ონკანები, შლანგები და სხვადასხვა სახის ჩამოწერილი ინვენტარი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სათავსოში სამეურნეო საგნებთან ერთად ინახება ლეიბებიც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადაეცემათ მსჯავრდებულებს გამოსაყენებლად, არსებული სათავსოს პირობები სრულად შეუსაბამოა სტანდარტებთან.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 4 საერთო სარგებლობის საშხაპე ოთახი, რომლებშიც მთლიანობაში განთავსებულია 184 საშხაპე სადგომი. საშხაპეებში საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემა მოსაწესრიგებელია, რაზეც სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც იყო საუბარი, თუმცა აღნიშნული პრობლემა ვიზიტის დროისათვის კვლავ მოუგვარებელი იყო.

ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადვოკატებთან შეხვედრების ორი ოთახი. ოთახებში არის საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება, არ არის ხელოვნური განიავება; მხოლოდ ერთ ოთახში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა (მე-2 ოთახში არ არის შეყვანილი); ჭერში დამონტაჟებულია თითო-თითო ვიდეოთვალი; ოთახებში დგას შემდეგი ინვენტარი: თითო-თითო მაგიდა და ორ-ორი სკამი; ოთახებში შესასვლელი არ არის ადაპტირებული - შშმ პირებისთვის.

დაწესებულების დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია ხდება თვეში ერთხელ, ხოლო დაწესებულებიდან ნაგვის გატანა ხდება კვირაში ორჯერ. ზოგიერთი მსჯავრდებული უჩიოდა დაწესებულებაში, კერძოდ საცხოვრებელ საკნებში, ბაღლინჯოების არსებობას.

ყველა მსჯავრდებულს მოთხოვნისთანავე გადაეცემა თეთრეული. მსჯავრდებულს დაწესებულებაში მოთავსებისას გადაეცემა ერთი ხელი თეთრეული და შემდეგ მოთხოვნის მიხედვით. მსჯავრდებულთა განმარტებით, დაწესებულებაში შემოსახლებისას, მათ ციხის ადმინისტრაციამ მისცა თეთრეული. მსჯავრდებულები სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფილნი არიან ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიერ.

ადმინისტრაცია ყოველ თვე გადასცემს მსჯავრდებულებს შემდეგი სახის ჰიგიენის საშუალებებს: საოჯახო საპონი, ხელის საპონი, სარეცხი ფხვნილი ხელით რეცხვისთვის და სარეცხი ფხვნილი ავტომატური რეცხვისთვის, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი.

გამოკითხულ მსჯავრდებულთა განცხადებით, ისინი საკანში ინახავენ შემდეგ ნივთებს: საპონს, კბილის პასტას, კბილის ჯაგრისს, ფრჩხილების საჭრელს (ე.წ. „კუსაჩკას“) და სხვა. პირადი ჰიგიენის ნივთების დამატებითი შეძენის შემთხვევაში მსჯავრდებულები იყენებენ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიას. მათი განცხადებით, ყველაზე ხშირად ყიდულობენ შემდეგ ჰიგიენურ საშუალებებს: კბილის პასტას, ჯაგრისს, ტუალეტის ქაღალდს, საპონს და სარეცხ ფხვნილს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი შეხვდა ერთ-ერთ მსჯავრდებულს, რომელსაც პარალიზებული აქვს ქვედა კიდურები და ეტლით გადაადგილდება. მას არ შეუძლია საკუთარი თავის მოვლა, საპირფარეშოსა და სააბაზანოში დამოუკიდებლად გადაადგილება. მისი ინფორმაციით იგი იმყოფება უყურადღებოდ, მასზე არავინ არ ზრუნავს და რადგან შხაპის მიღება თავისით არ შეუძლია სხეულს სველი ხელსახოცით ისუფთავებს.

დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს ემსახურება დალაქი. სადალაქო მომსახურებას ახორციელებს სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებული. სადალაქო საკანი განთავსებულია ახალი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. დალაქს აქვს შემდეგი ხელსაწყოები: მაკრატელი, თმის საჭრელი მანაქნა, ფენი, სავარცხელი და სტერილიზატორი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს მაღაზია, სადაც მსჯავრდებულებს პლასტიკური ბარათების საშუალებით შეუძლიათ სასურველი ნივთებისა და პროდუქტების შეძენა.

4.2. კვება და სასმელი წყალი

მე-15 დაწესებულების დებულების თანახმად, დაწესებულებაში საკვები უნდა შეიცავდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო კომპონენტებს. კვების რაციონის განსაზღვრისას გაითვალისწინება მსჯავრდებულთა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა,

რელიგიური კუთვნილება, კულტურული თავისებურებები და ფიზიკური დატვირთვა. დაწესებულებაში მზადდება ძირითადი მენიუთი გათვალისწინებული საკვები, ასევე მოქმედებს ორი დიეტური მენიუ დიაბეტითა და ღვიძლით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის. ვიზიტის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მსჯავრდებულებისაგან საკვების ხარისხთან ან/და ულუფის ოდენობასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ მიუღია. ჯგუფის წევრების მიერ ადგილზე დაგემოვნებული საკვები დამაკმაყოფილებელი იყო. სამზარეულოში წარმოდგენილი ტექნოლოგიური მოწყობილობების (მექანიკური, ელექტრო და თერმული) და ინვენტარის (ქვაბები, საწურები, სარეცხი ჩანები, საკვების დასამზადებელი მაგიდები, პროდუქტების ხელით დასამუშავებელი იარაღები და სხვ.) ჰიგიენური მდგომარეობა, და, აგრეთვე, სამზარეულოში ზოგადი სანიტარიული პირობები - ვიზუალური დაკვირვების შედეგად დამაკმაყოფილებელია. მენეჯერის განმარტებით, - „საწარმოში ყოველდღიურად - დილით და საღამოს იატაკები ირეცხება ქლორით“.

მე-15 დაწესებულების სამზარეულო და საკვები პროდუქტების საწყობი დამატებით შემოწმდა პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული *ad hoc* ვიზიტისას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იშვიათ შემთხვევაში ადგილი აქვს წინასწარ დამტკიცებულ მენიუში შესული პროდუქტების გადანაცვლებას სხვადასხვა დღეების მიხედვით, რაც გამოწვეულია კონტრაქტორი კომპანიის მიერ არაჯეროვანი მომარაგებით. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული გადანაცვლება დასაშვებია თუკი მსჯავრდებულები შეცვლილი მენიუს პირობებში მაინც იღებენ დღიურად განსაზღვრულ ნორმას, თუმცა მნიშვნელოვანია რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღოს პრევენციული ზომები რათა აღნიშნული პრაქტიკა არ გახშირდეს და არ იქცეს ყოველდღიურ რუტინად.

სასადილოში საკვების დარიგების დროს, მსჯავრდებულებს მოაქვთ საკუთარი ჭურჭელი, რომელშიც სამეურნეო ნაწილის თანამშრომლები, რომელთაც ჰიგიენური ხელთათმანები აცვიათ, რიგის მიხედვით ანაწილებენ საკვებს. მსჯავრდებულები საკვებს მიირთმევენ საერთო საცხოვრებელ საკნებში.

ნარჩენი პროდუქტები დღის მანძილზე გროვდება ერთად და დღის ბოლოს კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით მიაქვთ დაწესებულებიდან. ხოლო რძის პროდუქტების მორჩენის შემთხვევაში, სამეურნეო სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვების დარიგებას დამოუკიდებლად თავისი შეხედულებით ანაწილებენ მორჩენილ პროდუქტს სხვა მსჯავრდებულებს შორის. ზოგადად, საკვები ულუფის სამზარეულოდან გატანის შემდეგ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს კონტროლს არავინ უწევს თუ როგორ და ვის ურიგენებ საკვებს, ასევე უკონტროლოა თუ რის მიხედვით ნაწილდება დარჩენილი რძის პროდუქტი. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული პრაქტიკა შეიცავს რისკებს, რომ საკვების დარიგებასა და განაწილებაზე პასუხისმგებელმა მსჯავრდებულებმა შესაძლოა მათთვის მიცემული უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენონ და სხვა პატიმრებისათვის

საკვების მიცემისას (განსაკუთრებით მორჩენილი რძის პროდუქტების განაწილებისას) შეეცადონ მათგან რაიმე სარგებლის მიღებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ იმ მომენტში, როდესაც სამეურნეო ნაწილის თანამშრომლები ახორციელებენ საკვები ულუფების განაწილებას ან დარჩენილი საკვების დარიგებას სხვა მსჯავრდებულთათვის მათ ზოგად კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევდეს დაწესებულების წარმომადგენელი.

სამზარეულოსა და საკვები პროდუქტების საწყობში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ერთი შეხედვით დამაკმაყოფილებელია. სასადილოს მენეჯერის მიერ სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის წარმოდგენილ-იქნა დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა ჯგუფის წევრებმა ვიზიტის დროს საკვების საწყობის ერთ-ერთ ოთახში შენიშნეს ვირობა.

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საკვების მომზადებისას გათვალისწინებულია რელიგიური და კულტურული თავისებურებები. დაწესებულებას სასმელი წყალი მიეწოდება შეუზღუდავად, 24 საათიან რეჟიმში. საკვებით და სასმელი წყლით მოწამვლის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. წყლის ვარგისიანობას ამოწმებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.“³⁴

4.3. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

მე-15 დაწესებულებაში მოქმედი დღის განრიგის მიხედვით, მსჯავრდებულებს თავისუფალი დრო აქვთ დილით 10:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე და ნაშუადღევს, 15:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე, მათ ასევე ეძლევათ თავისუფალი დრო საღამოს 21:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე, თუმცა ამ დროს ისინი აუცილებლად საკანში უნდა იმყოფებოდნენ. მსჯავრდებულებს ეზოში სეირნობა შეუძლიათ მთელი დღის განმავლობაში დილის 08:30 სთ-დან საღამოს 20:00 სთ-მდე. დაწესებულებაში მოწყობილია სამი სასეირნო ეზო და ორი სპორტული მოედანი, რომელიც სპორტული აქტივობების შესაბამისადაა აღჭურვილი. სპორტულ აქტივობებში, როგორცაა პინგ-პონგი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, სავარჯიშო ტრენაჟორები, ჩართულია მსჯავრდებულთა მცირე ნაწილი.

მე-15 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელში არსებული წიგნებისა და ბროშურების რაოდენობა ვიზიტის დროისათვის შეადგენდა 5635 ცალს. 2015 წელს საბიბლიოთეკო ფონდი განახლდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ერთხელ 107 ერთეული წიგნით. ბოლოს ბიბლიოთეკა განახლდა 2016 წლის მაისში.³⁵ თანამშრომელთა ინფორმაციით, ერთი თვის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან საშუალოდ გადის 100-დან 200-მდე ერთეული წიგნი. ქართულის გარდა, ბიბლიოთეკაში წიგნები ხელმისაწვდომია რუსულ და ინგლისურ ენებზე, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის

³⁴ დაწესებულების დირექტორის წერილი 22.09.2016.

³⁵ იქვე

ხელმისაწვდომია ბროშურები მათთვის გასაგებ ენაზე. ბიბლიოთეკაში არის საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები, რომელიც ხელმისაწვდომია მსჯავრდებულთათვის. აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების განახლება პერიოდულად ხდება საქართველოს საპატრიარქოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ. მსჯავრდებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ითხოვენ ბიბლიოთეკის ფონდის განახლებას ძირითადად რომანის, დეტექტივის ჟანრისა და უცხო ენის (ძირითადად ინგლისურის) სახელმძღვანელო წიგნებით.

მსჯავრდებულები საკანში სარგებლობენ ტელევიზორისა და რადიოს ქონის უფლებით და ამ გზით იღებენ ინფორმაციას. მსჯავრდებულებს აქვთ შესაძლებლობა ამანათის სახით მიიღონ წიგნები და პრესა.

მსჯავრდებულებს შეუძლიათ საკნებში აღავლინონ რელიგიური რიტუალები. დაწესებულებაში მოქმედებს რელიგიური კუთხე მართლმადიდებლური აღმსარებლობის პირთათვის, ასევე დაწესებულების ტერიტორიაზე შენდება მართლმადიდებლური ეკლესია.

დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით სარეაბილიტაციო აქტივობების შერჩევა ხდება მსჯავრდებულთან ინდივიდუალური გასაუბრების შედეგად. ბოლოს ასეთი გამოკითხვა ჩატარდა 2016 წლის აპრილსა და მაისის თვეში.³⁶

2015 წლის განმავლობაში მე-15 დაწესებულებაში ჩატარებული სარეაბილიტაციო აქტივობების ჩამონათვალი იხ. ცხრილის სახით:

#	სარეაბილიტაციო აქტივობის ტიპი	სარეაბილიტაციო აქტივობის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
1	პროფესიული სწავლება	სტილისტის შემსწავლელი კურსი	5
2	კომპიუტერული სასწავლო პროგრამა	საოფისე საბაზისო კურსი	27
3	ფსიქო-სოციალური ტრენინგი	მსჯავრდებულთა საჭირო სოციალური უნარებით აღჭურვა და რესოციალიზაცია	12
4	საგანმანათლებლო სწავლება	ქართული ენის შემსწავლელი კურსი	13
5	საგანმანათლებლო სწავლება	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	21

³⁶ დაწესებულების დირექტორის წერილი (კითხვა 13-14)

6	კომპიუტერული პროგრამა	სასწავლო	კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი	19
7	კომპიუტერული პროგრამა	სასწავლო	პროგრამა access-ის შემსწავლელი კურსი	20
8	კომპიუტერული პროგრამა	სასწავლო	ვებ დიზაინის შემსწავლელი კურსი	15
9	სატრენინგო სწავლება		მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი	20
10	შემეცნებითი შეხვედრა		ლექცია-სემინარი თეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით	200
11	კულტურული ღონისძიება		ანსამბლ „ქართული ხმების“ კონცერტი	400

2015 წელს დაწესებულებაში შესაძლებელი იყო მხოლოდ სტილისტობის შემსწავლელი პროფესიული კურსის გავლა. აღნიშნული კურსი ჩატარდა 2015 წლის მაისის თვეში და მასში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ხუთმა მსჯავრდებულმა. 2015 წელს მე-15 დაწესებულებაში არ განხორციელებულა არც-ერთი ხელობის შემსწავლელი კურსი.

2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით N15 დაწესებულებაში რაიმე სახის პროფესიული განათლების ან ხელობის შემსწავლელი კურსი არ ჩატარებულა, რაც უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული, რადგან მთელს საანგარიშო პერიოდში (2015 წელი და 2016 წლის 31 აგვისტომდე პერიოდი) N15 დაწესებულებაში ჩატარდა მხოლოდ ერთი პროფესიული განათლების კურსი, რომელშიც 5 მსჯავრდებული მონაწილეობდა, ხოლო მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელობის შემსწავლელი არც-ერთი პროგრამა არ ჩატარებულა მსჯავრდებულთათვის.

ევროპული ციხის წესების მიხედვით ყოველი სასჯელადსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით. პატიმართა განათლება უნდა იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემასთან.³⁷ N15 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა

³⁷ ევროპული ციხის წესები, მუხ. 28.1 და 28.7(ა)

საგანმანათლებლო და ხელობის შემსწავლელი კურსების კუთხით კი ვერ პასუხობს აღნიშნულ მოთხოვნას და საჭიროებს აუცილებელ შეცვლას.

2016 წლის 1-ლი იანვარი - 31 აგვისტოს პერიოდში დაწესებულებაში გაიმართა მხატვრული ფილმის ჩვენება სამჯერ, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 53 მსჯავრდებული (12, 26 და 15) ასევე მოეწყო ერთი პოეზიის საღამო, რომელსაც 37 მსჯავრდებული ესწრებოდა.

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის 1-ლი იანვარი - 31 აგვისტოს პერიოდში ასევე ჩატარდა შვიდი სასწავლო კურსი, კერძოდ: ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსი, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი, მცირე ბიზნესის მწარმოებლის შემსწავლელი კურსი, ტურ-ოპერატორის შემსწავლელი კურსი, ვებ-დიზაინის შემსწავლელი კურსი, კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი და კომპიუტერული პროგრამა “access”-ის შემსწავლელი კურსი,³⁸ თუმცა აღნიშნული კურსების ხანგრძლივობისა და მათში მონაწილე მსჯავრდებულთა რაოდენობისა და ვინაობის შესახებ ინფორმაცია დაწესებულებას სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის არ მოუწოდებია.

4.4. დასაქმება

სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმართა სტატისტიკა 2015 წლისათვის:

თვე	დასაქმებულთა რაოდენობა
იანვარი	52
თებერვალი	60
მარტი	58
აპრილი	61
მაისი	64
ივნისი	66
ივლისი	62
აგვისტო	67

³⁸ დაწესებულების დირექტორის წერილი 22.09.2016, დანართი 8

სექტემბერი	55
ოქტომბერი	60
ნოემბერი	62
დეკემბერი	60

სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმართა სტატისტიკა 2016 წლისათვის (1 იანვარი - 31 აგვისტოს პერიოდის მონაცემები)

თვე	დასაქმებულთა რაოდენობა
იანვარი	52
თებერვალი	56
მარტი	55
აპრილი	58
მაისი	60
ივნისი	60
ივლისი	65
აგვისტო	64

2015 წელს პენტიენციური დაწესებულების დირექტორს სულ 63 მსჯავრდებულმა მიმართა სამეურნეო ნაწილში დასაქმების თხოვნით, რომელთაგან ყველა თხოვნა დაკმაყოფილდა. ხოლო 2016 წლის 1-ლი იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში დირექტორს დასაქმების თხოვნით მიმართა 21-მა მსჯავრდებულმა, რომელთაგან ასევე ყველა თხოვნა დაკმაყოფილდა.³⁹

³⁹ იქვე

დასაქმებულ პირთა ანაზღაურება ხდება შემდეგი სახელფასო განაკვეთით: ჯგუფის უფროსის დარიცხული ხელფასი 250 ლარი, ხოლო ჯგუფის წევრისა - 200 ლარი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- ❖ N15 დაწესებულებაში არსებულ საკნებში თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრობის კოდექსით დადგენილი 4 კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობით
- ❖ სამართო საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერები დამონტაჟდეს იმგვარად, რომ საკნებში არსებული საპირფარეშოები არ ხვდებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის არეში
- ❖ სამართო საკნებში გაუმჯობესდეს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, კერძოდ სანიტარულ კვანძი გამოიყოს ოთახის დანარჩენი ნაწილისაგან და დაუმონტაჟდეს წყლის ჩამრეცხი
- ❖ უზრუნველყოს დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ოდენობის სარეცხი მანქანების გამართული ფუნქციონირება
- ❖ უზრუნველყოს დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე სასაწყობო შენობის შეკეთება
- ❖ შშმ პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი იყოს სპეციალურად ამისათვის მომზადებული პერსონალის მიერ რეგულარული მოვლა, რათა ასეთმა პატიმრებმა ღირსების შეუღახავად შეძლონ პირადი ჰიგიენის დაცვა
- ❖ უზრუნველყოს საერთო სარგებლობის საშხაპეების საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემის მოწესრიგება
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში საკვების დარიცხვის შედეგად მორჩენილი რძის პროდუქტების სხვა პატიმრებში განაწილების პროცესი უკონტროლოდ არ მიმდინარეობდეს
- ❖ გაძლიერდეს მუშაობა, რათა განხორციელდეს უფრო მეტი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები. ამ მიზნით, მოხდეს საჭიროებების შეფასება და პატიმრების მიერ ყველაზე მეტად მოთხოვნადი აქტივობების დადგენა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მსჯავრდებულებისათვის უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მსჯავრდებულებისათვის უზრუნველყოფილი იქნეს ხელობის შემსწავლელი პროგრამები
- ❖ სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა

5. სამედიცინო მომსახურება

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო ფაქტის მე-12 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.⁴⁰ გაეროს მე-14 ზოგად კომენტარში ჯანმრთელობის დაცვის უფლება განსაზღვრულია ოთხი კომპონენტით: სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივი უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მისაღები სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი.⁴¹

აღნიშნული პრინციპები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, მათ შორის პატიმრობაში მყოფ პირებთან მიმართებაში. პატიმრობაში მყოფი პირები ჩვეულებისამებრ ინარჩუნებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტალურ უფლებებს. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემამ პატიმრებისათვის უნდა უზრუნველყოს ისეთივე სტანდარტის მკურნალობა, როგორც სარგებლობენ დაწესებულების გარეთ მყოფი პირები.⁴² პატიმრები, როგორც წესი ზოგად მოსახლეობასთან შედარებით უფრო მეტად გამოირჩევიან ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს ციხეში არსებული ცხოვრების წესი.⁴³

პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე, სახელმწიფო ვალდებულია გამოიჩინოს მზრუნველობა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უზრუნველყოს, როგორც პირის შესაბამისი გარემოპირობებში მოთავსება, აგრეთვე გაუწიოს შესაბამისი ინდივიდუალური მკურნალობა.⁴⁴ ციხის ევროპული წესების შესაბამისად, საპატიმრო სასჯელის აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებში, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას და მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.⁴⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,⁴⁶ კონვენციის მესამე მუხლი (წამების აკრძალვა) სახელმწიფოს აკისრებს თავისუფლება აღკვეთილი პირების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მათ შორის ასეთი პირებისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის გზით. დაკავებულ

⁴⁰ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო ფაქტი, გაერო 1966

⁴¹ გაეროს მე-14 ზოგადი კომენტარი,

⁴² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 63, პუნქტი 38, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

⁴³ WHO

⁴⁴ http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0009/99018/E90174.pdf

⁴⁵ ციხის ევროპული წესები (პრეამბულა)

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *დუბეკა ალბანეთის წინააღმდეგ (Dubeku v. Albania)*, პარ. 41.

პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.⁴⁷

სამედიცინო ინფრასტრუქტურა

ჯამრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დაწესებულების სამედიცინო მოწყობილობებით აღჭურვა და მისი შესაბამისობა სამედიცინო ნორმატივებთან.⁴⁸ პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პუნქტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ ძირითად და მინიმალურ მოთხოვნას, რაც ჯანდაცვის მომსახურებათა ეკვივალენტური მიწოდებისათვის არის აუცილებელი.⁴⁹

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულების (შემდგომში ასევე *N15 დაწესებულების დებულება*) თანახმად, მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მათთვის სათანადო სამედიცინო სერვისების მიწოდების მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეულია და არ შედის დაწესებულების სტრუქტურაში. საექიმო-სამედიცინო პუნქტში საქმიანობას ეწევიან სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და მოწვეული სპეციალისტები.⁵⁰

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში სამედიცინო ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულების სამედიცინო ნაწილი მოიცავს შემდეგ 12 ოთახს: ექიმის ოთახი, ექთნის ოთახი, სტომატოლოგიური კაბინეტი, აივ/შიდსის კაბინეტი (ექსპრეს დიაგნოსტიკისათვის), ექოსკოპიის კაბინეტი, შიდა აფთიაქი, სათავსები და 4 პალატა 12 პაციენტზე. მონიტორინგის ჩატარებისას სამედიცინო ნაწილში იყო 10 პატიმარი/პაციენტი. პირველადი ჯანდაცვის პუნქტის აღჭურვილობა არის ელემენტარული, თუმცა შეესაბამება პირველადი ჯანდაცვის ძირითად საჭიროებებს.

დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არსებული ექიმის, სამანიპულაციო, სტომატოლოგიურ ოთახებსა და პალატებში არსებული ფართი შეესაბამება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ არსებულ

⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia)*, პარ. 47-49.

⁴⁸ გაეროს მე-14 ზოგადი კომენტარი

⁴⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები

⁵⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 6(2).

სტანდარტებს.⁵¹ წარმოდგენილ ოთახებში ბუნებრივი განათება დამაკმაყოფილებელია. ზემოთნახსენებ არცერთ ოთახში არ მუშაობს ხელოვნური ვენტილაციის სისტემა. ხელოვნური ვენტილაციის სისტემის არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ოთახში არსებული ჰაერის სუფთა ჰაერით ჩანაცვლებას და ამით ამცირებს პაციენტთა ინფიცირების რისკს. ხელოვნური ვენტილაციის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცივ ამინდში, როდესაც ოთახებში დაკეტილია ფანჯრები.

დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არსებულ პალატების, სამანიპულაციო და ექიმის ოთახში არსებულ საპირფარეშოებში შესასვლელად მოწყობილია 25 სმ სიმაღლის კიბის საფეხურები, რომელიც არ არის ადაპტირებული შშმ პაციენტთა საჭიროებებზე. არსებული საფეხურები პრობლემას ქმნის პალატაში მყოფ სხვა პირებთან მიმართებაშიც, რომლებსაც კონკრეტული სამედიცინო საჭიროებები გააჩნიათ.

საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა, ვიზიტისას სამანიპულაციო ოთახში დაფიქსირებულ იქნა დაკეტილი ძველი სეიფი, სადაც ერთად ინახება, როგორც ახალი და გამოუყენებელი შპრიცები, გადასხმის სისტემები, ასევე ძველი დაჟანგული სამედიცინო ხელსაწყოები და პაციენტებისაგან ამოღებული ნივთები.

აღსანიშნავია, რომ დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, სასტერილიზაციოში დაცული უნდა იყოს „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ ნაკადების ერთი მიმართულებით მოძრაობის პრინციპი რათა არ მოხდეს მათი გადაკვეთა.⁵² შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაუყონებლივ განხორციელდეს აღნიშნული დაკეტილი სეიფის გაუქმება და მისი სამანიპულაციო ოთახიდან გატანა.

ვიზიტის განხორციელებისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის ყურადღება მიიპყრო სამედიცინო ნაწილში სხვა მსჯავრდებულების თავისუფალი გადაადგილების შემთხვევამ. საცხოვრებელი კორპუსიდან სამედიცინო საჭიროებების არმქონე მსჯავრდებულების სამედიცინო პუნქტში თავისუფალი მოძრაობა გარკვეულ რისკს წარმოადგენს ინფექციის კონტროლის თვალსაზრისით, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს საცხოვრებელი

⁵¹ სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-25/ნ 2013 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი, მუხლი 2, ექიმის საკონსულტაციო ოთახი (ერთ გუნდზე) -არანაკლებ 12 მ2, სამანიპულაციო/საპროცედურო

ფართი -არანაკლებ 12 მ2

⁵²სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, მე-4 მუხლის მეექვსე პუნქტი.

კორპუსიდან სამედიცინო საჭიროებების არმქონე მსჯავრდებულების სამედიცინო პუნქტში თავისუფალი მოძრაობა და პაციენტებთან ურთიერთობა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ ციხეში კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ადეკვატური რაოდენობით ყოფნა, პენიტენციურ დაწესებულებაში ჯეროვანი ჯანდაცვის სტრატეგიის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რომ დააკმაყოფილოს ციხის პატიმართა ყველა სპეციფიკური სამედიცინო საჭიროება.⁵³

2016 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, N15 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში დასაქმებულია 30 თანამშრომელი, აქედან 9 ექიმი (1 - მთავარი ექიმი, 4 - პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 4 მორიგე ექიმი, და 1 - ექიმ სტომატოლოგი), 16 ექთანი, აქედან (9- პირველადი ჯანდაცვის ექთანი და 7 მორიგე ექთანი) ასევე, ექთნის ასისტენტი, მორიგე ექთნის ასისტენტი, წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი და ფარმაცევტის ასისტენტი. დღის განმავლობაში მსჯავრდებულებს ემსახურება ოთხი პჯდ (პირველადი ჯანმრთელობის დაცვა) ექიმი, სტომატოლოგი, ფარმაცევტი, ფარმაცევტის ასისტენტი და 10 ექთანი, ღამე მორიგეობს ჯგუფი ერთი ექიმის და ორი ექთნის შემადგენლობით.⁵⁴

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით N15 დაწესებულებაში დასაქმებული იყო 9 ექიმი და 18 ექთანი.⁵⁵ აღნიშნული მონაცემების 2016 წელთან შედარებით შემცირებულია ექთნების რაოდენობა. კონკრეტულად კი, 2016 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით დაწესებულებაში არის 16 ექთანი და 2 ექთნის თანაშემწე, რომელთაც არ აქვთ ექთნის კვალიფიკაცია და შესაბამისად ვერ ჩაითვლებიან ექთნების შემცვლელებად.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა.⁵⁶

⁵³ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საბერძნეთში ვიზიტის შესახებ, პარ. 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/documents/grc/2008-03-inf-eng.htm>> [ბოლოს ნანახია: 06.05.2016].

⁵⁴ N15 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის 2016 წლის 16 აგვისტოს წერილი MOC 916 00706907 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/8843)

⁵⁵ <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> გვ. 116

⁵⁶ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 61, პუნქტი 34, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 06.05.2016].

N15 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმიდან მიღებული წერილიდან⁵⁷ ირკვევა, რომ საექიმო-სამედიცინო პუნქტი ადგილზე ახორციელებს პროფილაქტიკურ გასინჯვებს, გამოვლენილი მწვავე და ქრონიკული დაავადებების მართვას (კომპეტენციის ფარგლებში). კლინიკურ ლაბორატორიულ გამოკვლევებს. სხვადასხვა პროფილის ექიმ სპეციალისტების კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში რეფერალს სტაციონარში, როგორც სისტემის შიგნით ასევე სამოქალაქო სექტორში.

მსჯავრდებულს ამბულატორიული დახმარება აღმოეჩინება, როგორც წესი, საექიმო-სამედიცინო პუნქტში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში საცხოვრებელში. მედიკამენტების გაცემა ხდება ექიმის დანიშნულებით.⁵⁸

მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად, მსჯავრდებული თვითონ აკითხავს ექიმს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუ დაავადების სიმწვავის გამო მსჯავრდებულს არ შეუძლია მისვლა ექიმამდე, მისი თანამესაკნე ატყობინებს სართულის ექიმს ან მორიგე ექიმს და მსჯავრდებულს მოემსახურება რომელიმე მათგანი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N15 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ. კონკრეტულად კი, ზოგიერთი პატიმარი უთითებდა პირველადი ჯანდაცვის ექიმის კონსულტაციის დაყოვნებაზე.

სტომატოლოგიური მომსახურება

დაწესებულებაში არის 1 სტომატოლოგიური კაბინეტი და მუშაობს შტატით განსაზღვრული ერთი სტომატოლოგი. სტომატოლოგიურ კაბინეტებში ხელმისაწვდომია შემდეგი მომსახურება: თერაპიული მკურნალობა, ქირურგიული მკურნალობა და ორთოპედიული მომსახურება.⁵⁹ სტომატოლოგი მუშაობს ყოველდღიურად 10 საათიდან 18 საათამდე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ სტომატოლოგიურ ექიმთან არის ცოცხალი რიგი და დღეში ხდება საშუალოდ 8-10 პაციენტის მიღება. განსაკუთრებით პრობლემურია ნარკოდამოკიდებული პატიმრების მხრიდან სტომატოლოგიური მოსახურების მიღების საკითხი.

⁵⁷ N15 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის 2016 წლის 16 აგვისტოს წერილი MOC 916 00706907 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-4/8843)

⁵⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 52(8).

⁵⁹ სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისათვის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ N309/5 ბრძანება, მუხ. 22.

ვიზიტის დროს სტომატოლოგიურ კაბინეტში აღმოჩენილ იქნა ორი მუშა მდგომარეობაში მყოფი და ერთ გაფუჭებული სტერილიზაციის აპარატი. სტომატოლოგის მიერ ყოველ სამუშაო დღის დასაწყისში სადებიინფექციო სამუშაოების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიუხედავად, მონიტორინგის დროისათვის ჟურნალში დებიინფექციის შესახებ ჩანაწერი არ იქნა ნაპოვნი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეში *Iacov Stanciu v. Romania*, ციხეში არსებულ ჯანდაცვასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა აპლიკანტის სტომატოლოგიურ პრობლემებს აღნიშნა, რომ სასამართლო არ იყო კმაყოფილი განმცხადებლისათვის საპატიმროში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხით, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა ხანგრძლივ პერიოდს და ჰქონდა ზეგავლენა პატიმრის ჯანმრთელობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ყოველივე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის(წამების აკრძალვა) საკითხებს.⁶⁰

სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩვევს რომ აუცილებელია დაწესებულებაში მოხდეს სტომატოლოგის შტატის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დროული და ადეკვატური მომსახურება.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

დაწესებულებაში არ მიმდინარეობს მსჯავრდებულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი. დაწესებულებაში კვირაში ორჯერ დანიშნულია ფსიქიატრის კონსულტაცია, რომელზეც წინასწარ ხდება ჩაწერა. დაწესებულებაში ფსიქიატრისადმი მიმართვიანობა საკმაოდ მაღალია. სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშებიდან⁶¹ ირკვევა, რომ ფსიქიატრის მიერ ჩატარებულ კონსულტაციათა რაოდენობა ყოველთვიურად 150-230 პატიმრამდე მერყეობს, რაც ფსიქიატრის სამუშაო დღის განმავლობაში გულისხმობს საშუალოდ 19-28 კონსულტაციას. ფსიქიატრის მიერ სამუშაო დღის განმავლობაში ზემოთ წარმოდგენილი რაოდენობის პაციენტების მიღებისათვის გათვალისწინებული დრო არ იძლევა პაციენტის მდგომარეობის სრულფასოვანი შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას. ამავ დროს არსებული გადატვირთულობა უარყოფითად მოქმედებს ექიმის სამუშაო პირობებზე, რაც საბოლოო ჯამში აისახება მომსახურების ხარისხზე.

მედიკამენტები

⁶⁰*Iacov Stanciu v. Romania*, 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, (*Application no. 35972/05*), პარა 180-186.

⁶¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის 2016 წლის 30 მარტის 4125/16 პასუხი.

მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სიმპტომური მკურნალობისათვის (თავის ტკივილი, გულმძარვა) მსჯავრდებული აკითხავს პჯდ კაბინეტს და მას ექიმის კონსულტაციის გარეშე მიეცემა ერთი - ორი ტაბლეტი, სხვა შემთხვევაში მსჯავრდებული ამა თუ იმ ჩივილებით აკითხავს ექიმს და მისი გადაწყვეტილებით ეძლევა დანიშნულება და აღნიშნული დანიშნულების მიხედვით მას მიეცემა მედიკამენტები. მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგისას ზოგიერთი პაციმარი აღნიშნავდა, რომ ხელმიუწვდომელია ტკივილგამაყუჩებელი და გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტები.

ექიმის ოთახში არის ერთი დაკეტილი სეიფი სადაც ინახება ისეთი მედიკამენტები, როგორცაა ტკივილგამაყუჩებელი, ანტიპარტიული, მსუბუქი დამამშვიდებლები ანტიბიოტიკის სახით. შემოწმებისას დაფიქსირებულ იქნა რამდენიმე ვადაგასული მედიკამენტი. მათ შორის ერთი დასახელების მედიკამენტები შენახული იყო სხვა დასახელების მედიკამენტების ყუთებში. ადგილზე აღმოჩენილ იქნა ნებულაიზერი, რომელსაც მოყვება ერთჯერადი ორი ნიღაბი, რომელიც გამოიყენება მრავალჯერადად. აღსანიშნავია, რომ ერთჯერადი ნიღაბის მრავალჯერადად გამოყენება არ არის რეკომენდირებული სხვადასხვა პაციენტის მიმართ და ეწინააღმდეგება ჰიგიენურ მოთხოვნებს.

სპეციალისტების მიერ ჩატარებული კონსულტაციები

N15 დაწესებულებაში პაციმრები ასევე სარგებლობენ გარედან მოწვეული ვიწრო სპეციალიზაციის ექიმების მომსახურებით. დაწესებულებაში ექიმის გარედან მოწვევა ხდება, როგორც ინდივიდუალური, ასევე მულტი-დისციპლინური ჯგუფების სახით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სპეციალიზაციის სამედიცინო პერსონალს.⁶²

2015 წლის განმავლობაში მოწვეულ ექიმ სპეციალისტების ვიზიტებისა და ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

ექიმ-სპეციალისტი		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
1	ფსიქიატრი	19 2	205	211	210	154	155	191	82	230	112	133	183	2058
2	ოკულისტი	23	16	23	15		26		25	12	44	34	14	232

⁶² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის 2016 წლის 30 მარტის 4125/16 პასუხი.

3	კარდიოლოგი	32	20	15		17		121	21	20	17		29	292
4	ენდოკრინოლოგ ო	10		8		20		14	10	15	8		18	103
5	დერმატოლოგი	17	20	56	22	23		139	25	42			28	372
6	ეპილეპტოლოგი	8	4	4	7		9							32
7	უროლოგი	28	23	51		15	22	116	20	23	25	26	50	399
8	ფთიზიატრი	3		3									3	9
9	ინფექციონისტი		31	10	22	10	12	49		27			6	167
10	ნევროლოგი		7	19	8		15	106	38	6	18	55	76	348
11	ოტოლარინგოლო გი			34	30	41	110	136	26	5	21			403
12	ქირურგი					22								
13	პროქტოლოგი				3	11		73	11	15	12	12	10	147
14	ნარკოლოგი							27						27
15	ტრავმატოლოგი							16					21	37
16	რევმატოლოგი							17	22					39
17	ანგიოლოგი							35	10			13	16	74
18	გასტროენტერო ლოგი							45						45

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ დაწესებულებაში ყველაზე მოთხოვნადია ფსიქიატრის, ოტოლარინგოლოგის, უროლოგის, დერმატოლოგის, ნევროლოგის, კარდიოლოგის, ოკულისტის და პროქტოლოგის მომსახურებები.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შიდა წარმოების კონსულტაციების აღრიცხვის ფორმის შესწავლისას გაირკვა, რომ N15 დაწესებულებაში პრობლემურია კონსულტანტების ხელმისაწვდომობის პრობლემა. კონკრეტულად კი, ზოგიერთ სამედიცინო სერვისზე პატიმართა მიერ კონსულტაციის მოთხოვნა ბევრად აღემატება კონსულტანტების ვიზიტებისა და მათ მიერ შემოწმებულ პირთა რაოდენობას.

სპეციალისტთან კონსულტაციაზე ჩაწერიდან სპეციალისტთან შეხვედრის დროის პერიოდი მერყეობს სამი თვიდან ათ თვემდე, რაც უარყოფითად მოქმედებს დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროსათვის (2015 წლის 10-11 დეკემბერი) არსებულ ჟურნალის ჩანაწერებში ნევროლოგის კონსულტაციაზე პირველ კორპუსში ჩაწერილი იყო 24 პაციენტი, აქედან ვიზიტისას მხოლოდ 2 პაციენტს ჰქონდა გაწეული ნევროლოგის კონსულტაცია. ჩანაწერებში არსებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნევროლოგის კონსულტაციას სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროსათვის ელოდებოდნენ 2015 წლის თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით ჩაწერილი პაციენტები.

პროქტოლოგის კონსულტაციაზე პირველ კორპუსში ჩაწერილი იყო 20 პაციენტი, აქედან ვიზიტისას მხოლოდ 6 პაციენტს ჰქონდა გაწეული პროქტოლოგის კონსულტაცია. ჩანაწერებში არსებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ პროქტოლოგის კონსულტაციას ელოდებოდნენ 2015 წლის თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით ჩაწერილი პაციენტები.

მაგალითისათვის:

- მსჯავრდებული ხ.ჯ ჩაწერილი იყო ნევროლოგის კონსულტაციაზე 2015 წლის 2 თებერვალს, 2015 წლის დეკემბრისათვის მას არ ჰქონდა ჩატარებული კონსულტაცია;
- მსჯავრდებული პ.ვ ჩაწერილი იყო ნევროლოგის კონსულტაციაზე 2015 წლის 10 თებერვალს, 2015 წლის დეკემბრისათვის მას არ ჰქონდა ჩატარებული კონსულტაცია;
- მსჯავრდებული გ.ა ჩაწერილი იყო ნევროლოგის კონსულტაციაზე 2015 წლის 6 მაისს, 2015 წლის დეკემბრისათვის მას არ ჰქონდა ჩატარებული კონსულტაცია;
- მსჯავრდებული მ.გ ჩაწერილი იყო პროქტოლოგის კონსულტაციაზე 2015 წლის 11 მაისს, 2015 წლის დეკემბრისათვის მას არ ჰქონდა ჩატარებული კონსულტაცია;
- მსჯავრდებული ვ.ა ჩაწერილი იყო პროქტოლოგის კონსულტაციაზე 2015 წლის 5 ივნისს, 2015 წლის დეკემბრისათვის მას არ ჰქონდა ჩატარებული კონსულტაცია;

იგივე შემთხვევები დაფიქსირდა დერმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ქირურგის, კონსულტაციებზე, სადაც 2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით ჩაწერილ პაციენტებს კონსულტაცია ასევე არ ჰქონდათ გავლილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროსათვის და ისინი იყვნენ კონსულტაციების მომლოდინე პაციენტთა სიაში.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილისათვის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სპეციალისტთა კონსულტაციების აღრიცხვის ერთიანი ფორმა. პაციენტთა კონსულტაციაზე ჩაწერა ფიქსირდება შიდა წარმოების სახით ჩვეულებრივ ჟურნალში აღრიცხვის ფორმით. კონსულტაციებისათვის შესაბამისი მკაცრი ერთიანი აღრიცხვის ფორმის არარსებობის პირობებში აღნიშნული ჩანაწერების შევსება დამოკიდებულია შემსვების ნებაზე. დაწესებულებაში ვიზიტისას დაფიქსირდა, რომ შიდა წარმოებისათვის განკუთვნილი

აღნიშნული სპეციალისტთა აღრიცხვის ფორმა შევსებულია გაუგებრად და ძნელდება ამოკითხვა. ზოგ შემთხვევაში არ არის მითითებული კონსულტაციაზე ჩაწერისა და გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პატიმართა დროული კონსულტირების საკითხი საკმაოდ მწვავე საკითხია, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდება, ოპერაციული ჩარევა, სხვადასხვა სახის აუცილებელი გამოკვლევების ჩატარება, რაც საერთო ჯამში გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ-სპეციალისტების მიერ განხორციელებულ კონსულტაციებზე ჩაწერა და განხორციელებული კონსულტაციების აღრიცხვა უნდა მიმდინარეობდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ერთიანი ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ფორმა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღს, ინფორმაციას თუ ვის მიერ დადგინდა კონსულტაციის საჭიროება, რომელი სპეციალისტის კონსულტაცია ესაჭიროება, გაწეული კონსულტაციის თარიღს, მოწვეული სპეციალისტის ვინაობასა და კონსულტაციის შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს.

რეფერალი

დაწესებულების დებულების მიხედვით, თუ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁶³

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, დაწესებულების ექიმის წარდგინებით, პატიმრის გაყვანის საკითხს გონივრულ ვადაში განიხილავს სამედიცინო დეპარტამენტი და დაწესებულებას უგზავნის დადასტურებას, რის შემდეგაც თუ პაციენტს ესაჭიროება გეგმიური სამედიცინო მომსახურება, მას ენიჭება რიგითი ნომერი და ამ რიგითობით ხდება მისი გაყვანა პენიტენციური დაწესებულებიდან.⁶⁴

გადაუდებელ შემთხვევებში, დაუყოვნებელი რეაგირების აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის დაყოვნება საფრთხეს უქმნის პირის

⁶³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 52(9).

⁶⁴ საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, მუხ. 121¹(7); იხ. ასევე: საერთო პროფილის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანება, მუხ. 2.

სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მართლმსაჯულების განხორციელებას ან სხვა სამართლებრივ სიკეთებს⁶⁵, შესაძლებელია პატიმრის გადაყვანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამარტივებული პროცედურებით.

დაწესებულების სამედიცინო ნაწილში პაციენტთა რეფერალთან დაკავშირებით წარმოებს პაციენტთა სასწრაფო წესით გაყვანისა და გეგმიური წესით გაყვანის ჟურნალები. წარმოდგენილ ჟურნალებში მითითებულია თუ სად იქნა გადაყვანილი პაციენტი; რა მიზნით და რა სახის მკურნალობა ჩაუტარდა.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა N15 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების დროს შეისწავლა სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ბრალდებულები/მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ ვიზიტისას ელექტრონული ბაზების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკვლევის ან მკურნალობის მიზნით პატიმრის სამოქალაქო სექტორის რომელიმე კლინიკაში გადაყვანისას ადგილზე დროულად იწერება ექიმის ცნობა, ასევე დროულად იგზავნება რეგისტრაციის მოთხოვნა სამედიცინო დეპარტამენტში, მაგრამ რეგისტრაცია ყოველთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო რეფერალის შესწავლის დროს დაადგინა, რომ ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურება. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის 22 აპრილს დამტკიცებულ №31 ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდი გეგმურ მომსახურებაზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრება გონივრული ვადით, რაც, გეგმურ სტაციონარულ მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე - 1 თვეს. ეს ვადა შეიძლება არ იქნეს დაცული, როდესაც არსებობს ობიექტური მიზეზი დაგეგმილი მომსახურების გადადებისთვის, როგორცაა:

- ა) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ბ) მოთხოვნილ მომსახურებაზე/საქონელზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;

⁶⁵ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №149 2015 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ.

გ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში

არსებული ობიექტური შეფერხება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მთავარი ექიმი უმეტეს შემთხვევებში დროულად აგზავნის სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნას, თუმცა სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურებას, რიგ შემთხვევებში, სჭირდება 1 თვიდან 6 თვემდე. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი მომსახურების გადადების 4 თვეზე მეტი ხნით გადადების შემთხვევაში რეგისტრაციის ელექტრონულ ბაზაში არ არის მითითებული მომსახურების გადადების მიზეზი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 10 აპრილის N55 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამედიცინო დეპარტამენტი შუამდგომლობას განიხილავს გონივრულ ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ან აღიარებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) ასევე, საჭიროებისას, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილი პროცედურების გათვალისწინებით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხშირად დიდი ხნით უწევს სამედიცინო მომსახურების მისაღებად ლოდინი. ამ პერიოდში კი შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდეს. ასევე, პრობლემას წარმოადგენს უკვე დადასტურებული შემთხვევების დროულად გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში.

- მსჯავრდებულ ა. ჩ-ს 2015 წლის 21 მაისს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგინდა პიგმენტური წარმონაქმნი შუბლის არეში. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2015 წლის 3 ივლისს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებულ იქნა 2015 წლის 18 სექტემბერს. ოპერაციული მკურნალობისთვის დაწესებულებიდან გაყვანილი იქნა 2015 წლის 24 სექტემბერს.
- მსჯავრდებულ ზ.კ-ს 2015 წლის 16 ივნისს ჩაუტარდა ანგიოლოგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგინდა ქვემო კიდურების ვენების ქრონიკული უკმარისობა. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2015 წლის 19 ივნისს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული იქნა 2015 წლის 7 დეკემბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს პაციენტი სამკურნალოდ გადაყვანილი არ იყო.
- მსჯავრდებულ დ.შ-ს 2015 წლის 30 ივლისს ჩაუტარდა ტრავმატოლოგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგინდა მარცხენა ბარძაყის დიაფაზის ხანდაზმული შეხორცებული მოტეხილობა, მარცხენა ბარძაყის დიდი ციბრუტის მიდამოს ეგზოსტოზი. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2015 წლის 1 აგვისტოს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული იქნა 2015 წლის 4

ნომბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს პაციენტი სამკურნალოდ გადაყვანილი არ იყო.

- მსჯავრდებულ ვ.ჭ-ს 2015 წლის 19 ივნისს ჩაუტარდა ტრავმატოლოგის კონსულტაცია, რა დროსაც დადგინდა მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის ტრავმის შემდგომი ტერფის გაშლითი კონტრაქტურა ექვინო კარუსელი დეფორმაციით. ჩატარებული აქვს ტრავმატოლოგის კონსულტაცია და კოჭ-წვივის რენდგენოგრაფია. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2015 წლის 29 ივნისს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებულ იქნა 7 დეკემბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს პაციენტი სამკურნალოდ გადაყვანილი არ იყო.
- მსჯავრდებულ გ.ბ-ს 2015 წლის 18 მაისს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, რა დროსაც დადგინდა ჭიპის თიაქარი. ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა უახლოეს პერიოდში. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2015 წლის 20 მაისს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ დადასტურებულ იქნა 7 ოქტომბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს პაციენტი სამკურნალოდ გადაყვანილი არ იყო.

აღსანიშნავია, რომ N15 დაწესებულებაში 2016 წლის თებერვლიდან მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც ჩართულია 6 პატიმარი. 2016 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით დაწესებულებაში არ ყოფილა დასრულებული სუიციდი ან სუიციდის მცდელობა. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს „C” ჰეპატიტის პრევენციის მკურნალობის და ერადიკაციის სახელმწიფო პროგრამა. მასში ჩართულია 35 პატიმარი.

რეკომენდაცია დაწესებულების დირექტორს:

- ❖ დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არსებულ ექიმის, სამანიპულაციო, სტომატოლოგიურ ოთახებსა და პალატებში უზრუნველყოს ხელოვნური ვენტილაციის გამართული ფუნქციონირება
- ❖ დაწესებულების სამედიცინო პუნქტში არსებულ პალატების, სამანიპულაციო და ექიმის ოთახში არსებულ საპირფარეშოების შესასვლელებში უზრუნველყოს შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო
- ❖ განხორციელდეს სამანიფულაციო ოთახში მოთავსებული დაკეტილი სეიფის გაუქმება და მისი სამანიპულაციო ოთახიდან გატანა
- ❖ გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები რათა არ მოხდეს საცხოვრებელი კორპუსიდან სამედიცინო საჭიროებების არმქონე მსჯავრდებულების სამედიცინო პუნქტში თავისუფალი მოძრაობა და პაციენტებთან ურთიერთობა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა პირველადი ჯანდაცვის ექიმის მიერ მოხდეს პაციენტის დროული კონსულტირება

- ❖ დაწესდეს კონტროლი რათა სტომატოლოგის მიერ ყოველ სამუშაო დღის დასაწყისში გაკეთდეს შესაბამის ჟურნალში ჩანაწერი დეზინფექციის შესახებ.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა არ მოხდეს ექთნების რაოდენობის შემცირება ექთნების თანაშემწეების ხარჯზე
- ❖ სათანადო სტომატოლოგიური მომსახურების მიღების მიზნით, N15 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტს დაემატოს სტომატოლოგის 1 შტატი
- ❖ დაწესებულებაში შემოყვანისთანავე განხორციელდეს ყველა პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი
- ❖ სათანადო ფსიქიატრიული მომსახურების მიღების მიზნით, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტს დაემატოს ფსიქიატრის 1 შტატი;
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა არ მოხდეს ნებულაიზერის ნიღბის სხვადასხვა პაციენტის მიმართ მრავალჯერადი გამოყენება
- ❖ მიიღოს ყველა ზომა რათა პენიტენციურ დაწესებულებაში შემუშავდეს ექიმ-სპეციალისტების მიერ განხორციელებულ კონსულტაციებზე ჩაწერის ერთიანი ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღს, ინფორმაციას თუ ვის მიერ დადგინდა კონსულტაციის საჭიროება, რომელი სპეციალისტის კონსულტაცია ესაჭიროება, გაწეული კონსულტაციის თარიღს, მოწვეული სპეციალისტის ვინაობასა და კონსულტაციის შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მთავარი ექიმი მიერ გამოგზავნილი სამედიცინო რეფერალის დარეგისტრირების მოთხოვნაზე სამედიცინო დეპარტამენტს დაუწესდეს მოთხოვნის დადასტურების მაქსიმუმი გონივრული ვადა.

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.⁶⁶ ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.⁶⁷ ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.⁶⁸ დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და

⁶⁶ ციხის ევროპული წესები. წესი 56.1

⁶⁷ იქვე, წესი 56.2

⁶⁸ იქვე, წესი 60.2

ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.⁶⁹ მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.⁷⁰

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N15 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით დაწესებულებაში დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 263 შემთხვევაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

გამოყენებულ დისციპლინური სახდელების სახეები	რაოდენობა	
	2015 წლის ბოლო 8 თვის მონაცემები	2016 წლის I – 8 თვის მონაცემები
სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა	2	0
კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	42	21
მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	3	0
სამართლო საკანში მოთავსება	73	80
ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა	1	1
საყვედური	69	161
სულ	190	263

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით არ დაფიქსირებულა სატელეფონო საუბრისა და მაღაზიით სარგებლობით უფლების შეზღუდვა. მისასალმებელია ხანმოკლე პაემანის აკრძალვის მაჩვენებლის 2016 წელს შემცირების ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის განმავლობაში არცერთ მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი არ გაუსაჩივრებია. N15 დაწესებულებაში 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. ასევე

⁶⁹ იქვე, წესი 60.3

⁷⁰ იქვე, წესი 60.4

მცირედით გაზრდილია სამართლო საკანში მოთავსების პრაქტიკა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

სამართლო საკანში მოთავსებულ ზოგიერთი პატიმარი უჩიოდა დისციპლინური სახდელების არაპროპორციულად გამოყენების პრაქტიკას. ასე მაგალითად,

- მსჯავრებული ზ.ჯ-ს განმარტებით ის სამართლო საკანში მოთავსებული იყო საკანში დაგვიანების გამო;
- მსჯავრებული ბ.ქ-ს განმარტებით ის სამართლო საკანში 14 დღით შემოასახლეს დაწესებულების თანამშრომელთან შელაპარაკების გამო;

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელების შედეგად შემოწმდა სამართლო საკანებში არსებული პირობები. აღსანიშნავია, რომ სამართლო საკანებში მძიმე პირობებია. სამართლო საკანებში დგას რკინის საწოლი, მსჯავრდებულების არ აქვთ თეთრეული და სხვა ჰიგიენის ნივთები. საკანებში ცივა, არის ცუდი განათება და არ მუშაობს გამწოვი. საკანში არ არის იზოლირებული სანიტარული კვანძი და ის განთავსებულია იმავე ოთახში, სადაც მსჯავრდებულს სძინავს. სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრები აგრეთვე უჩიოდნენ სამედიცინო პერსონალის და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემას.

პატიმართა წახალისება

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- გ) პირადი ტელევიზორით, კომპიუტერით ან რადიომიმღებით სარგებლობა;
- დ) დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

ე) დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

ვ) დამატებითი ვიდეოპაემანი.

ზ) დამატებითი საოჯახო პაემანი (ქალი მსჯავრდებულისათვის);

თ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა;

ი) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით.⁷¹

პატიმართა წახალისების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

წახალისების სახეები	შემთხვევათა რაოდენობა	
	2015 წლის ბოლო 8 თვის მონაცემები ⁷²	2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემები ⁷³
დამატებითი ხანმოკლე პაემანი	25	40
მადლობის გამოცხადება	108	44
დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა	85	34
დამატებითი ხანგრძლივი პაემანი	233	196
სულ	451	314

⁷¹ პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებულის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

⁷² 2015 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 1 449 პატიმარი იხდიდა სასჯელს.

⁷³ 2016 წლის პირველი 5 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 1 285 პატიმარი იხდიდა სასჯელს.

N15 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,⁷⁴ 2016 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით დაწესებულებაში წახალისების 314 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც წინა წლის 5 თვის მონაცემთან შედარებით, 137-ით ნაკლებია. ამავე დროს, წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა წახალისების სახით დამატებითი ხანგრძლივი პაემანების გამოყენების რაოდენობა. დადებითად უნდა აღინიშნოს წახალისების სახით დამატებითი ხანმოკლე პაემანების გამოყენების წინა წელთან შედარებით გაზრდილი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს დაწესებულებაში წახალისებული 579 მსჯავრდებულებიდან 42 მსჯავრდებული ირიცხებოდა ანაზღაურებად სამეურნეო მომსახურებაში. 2016 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით მონაცემებით წახალისებული 314 მსჯავრდებულიდან სამეურნეო სამსახურში დასაქმებული იყო 18 მსჯავრდებული.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმართა ხშირ წახალისებას შეუძლია ხელი შეუწყოს პატიმართა ქცევის კორექციას, შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენა და ამგვარად დადებითი გავლენა იქონიოს რესოციალიზაციის პროცესზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ N15 დაწესებულებაში გაძლიერდეს პატიმართა წახალისების პოლიტიკა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება
- ❖ შესწავლილ იქნეს დისციპლინური სახდელების დაკისრების პრაქტიკა და მიღებულ იქნეს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პატიმრის სათანადო მონაწილეობა დისციპლინურ სამართალწარმოებაში

რეკომენდაცია დაწესებულების დირექტორს:

- ❖ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სამართლო საკანში მოთავსება გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართლო საკანში მოწესრიგდეს არსებული საყოფაცხოვრებო პირობები და ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები;
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართლო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეწოდოთ თეთრეული და სხვა ჰიგიენის ნივთები

⁷⁴ 2016 წლის 8 ივლისს N2 დაწესებულების დირექტორის მიერ გამოგზავნილი MOC 41600598976 წერილობითი პასუხი.

- ❖ მიიღს ყველა ზომა, რათა სამართლო საკანში უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი განათება და ხელოვნური ვენტილაცია
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართლო საკანში უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემა
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა სამართლო საკანში იზოლირებულ იქნეს სანიტარული კვანძი
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულების დირექტორმა, შესაბამისი საფუძვლის არსებობებისას, უფრო ხშირად გამოიყენოს წახალისების ფორმები, მათ შორის სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.⁷⁵

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ხოლო 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; რაც შეეხება ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობას,

⁷⁵ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ხოლო 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

N15 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად დაწესებულებაში ფუნქციონირებს 33 ხანმოკლე და 16 ხანგრძლივი პაემნისათვის განკუთვნილი ოთახი.⁷⁶

N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის მეორე ნახევრისა და 2016 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემანით სარგებლობის მონაცემები თვეებისა და პატიმართა რაოდენობის მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

2015 წელი (ბოლო 8 თვის მონაცემები)				2016 წელი (პირველი 8 თვის მონაცემები)			
თვე	პატიმრების რაოდენობა	ხანმოკლე პაემანები	ხანგრძლივი პაემანები	თვე	პატიმრების რაოდენობა	ხანმოკლე პაემანები	ხანგრძლივი პაემანები
მაისი	1840	611	145	იანვარი	1677	390	117
ივნისი	1799	670	163	თებერვალი	1717	483	120
ივლისი	1806	646	208	მარტი	1635	520	135
აგვისტო	1816	575	146	აპრილი	1625	497	108
სექტემბერი	1808	611	126	მაისი	1651	470	147
ოქტომბერი	1821	623	156	ივნისი	1680	578	163

⁷⁶ 2016 წლის 8 ივლისს N2 დაწესებულების დირექტორის მიერ გამოგზავნილი MOC 41600598976 წერილობითი პასუხი.

ნომბერი	1781	568	132	ივლისი	1715	521	161
დეკემბერი	1705	563	132	აგვისტო	1739	464	16
სულ		4867	1208	სულ		3923	967

ხანმოკლე პაემანის ოთახის შესასვლელი არ არის ადაპტირებული - შშმ პირებისთვის. სპეციალური პრვენციული ჯგუფის წევრები მონიტორინგის ფარგლებში ესაუბრნენ პენიტენციურ დაწესებულების საზოგადოებრივ მისაღებში მყოფ მსჯავრდებულების მშობლებსა და მეუღლეებს. მათი განმარტებით, „მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს ხანმოკლე პაემანით სარგებლობა დასვენების დღეებშიც, რადგანაც მათ ხშირად უწევთ სამუშაო დღეების გაცდენა, რის გამოც მათ პრობლემები ექმნებათ დამსაქმებელთან“.

ევროპული ციხის წესების 24.4 მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში. აღსანიშნავია, რომ N15 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინიმუმ გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების⁷⁷ თანახმად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

სატელეფონო საუბრები

„პატიმრობის კოდექსის“ 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა. ამავე კანონის 62-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი,

⁷⁷ წესი 79

თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა;

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი ოჯახის წევრებთან ძირითადად კომუნიკაციას ამყარებენ ტელეფონით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს იმყოფებოდა 1755 პატიმარი და დამონტაჟებული იყო 25-30 ტელეფონი. აღსანიშნავია, რომ ტელეფონის აპარატების არასაკმარისი რაოდენობიდან გამომდინარე მსჯავრდებულებს საათობით უწევთ რიგში დგომა სატელეფონო ზარის განსახორციელებლად.

ადვოკატთან შეხვედრის ოთახი და ვიდეო-პაემანი

ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებულ ადვოკატების შეხვედრების ორი ოთახი, რომელიც ნორმალურ მდგომარეობაშია. ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ვიდეო პაემანის ერთი ოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ადვოკატების შეხვედრისა და ვიდეო პაემანის ოთახში შესასვლელი არ არის ადაპტირებული - შშმ პირებისთვის.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოს ხანმოკლე პაემანის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- ❖ ხანმოკლე პაემანის, ადვოკატთან შეხვედრისა და ვიდეო-პაემანის ოთახების შესასვლელელები ადაპტირებულ იქნეს შშმ პირებისათვის
- ❖ დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს ხანმოკლე პაემანით სარგებლობა დასვენების დღეებშიც
- ❖ სატელეფონო საუბრების შეუფერხებლად განხორციელებისათვის დაწესებულებაში გაიზარდოს სატელეფონო აპარატების რაოდენობა.